ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში მდებარე ვაჟა-ფშაველას №39
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,თანადგომა" -ს

კრების ოქმი

ქ.თბილისი 27 ივლისი

მიმდინარე წლის 22 ივლისს შედგა ამხანაგობა ,,თანადგომა"-ს მდებარე თბილისი ვაჟა-ფშაველას №39 ში ამხანაგობის კრება.

კრებას თავმჯდომარეობდა ამხანაგობის თავმჯდომარე მადონა მდივნიშვილი
პირ.№0124008406

კრებას ესწრებოდა ამხანაგობის წევრთა სრული უმრავლესობა.

კრების თავმჯდომარემ კრებას მოახსენა, რომ განსახილველად შემოსულია ამხანაგობის წევრი შპს ,, კომპასი:-ს წინადადება რათა მან განახორციელოს პირველ სართულზე არსებული კომერციული ფართის კეთილმოწყობა, ვიტრინის შეცვლა და შიდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ასევე მოახდინოს ვიტრინის გამთლიანება ვაჟა-ფშაველას გამზირის მხარეს, საკადასტრო საზღვრის პარალელურად, კორპუსის ფასადის კონტურში, წარმოდგენილი ნახაზის მიხედვით.

კრების წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად კრების თავმჯდომარის წინადადებას.

დაადგინეს: ნება დაერთოს ამხანაგობის წევრს შპს ,, კომპას"-ს განახორციელოს პირველ სართულზე არსებული კომერციული ფართის კეთილმოწყობა, ვიტრინის შეცვლა და შიდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ასევე მოახდინოს ვიტრინის გამთლიანება ვაჟა-ფშაველას გამზირის მხარეს, საკადასტრო საზღვრის პარალელურად, კორპუსის ფასადის კონტურში, წარმოდგენილი ნახაზის მიხედვით. სამუშაოების დაწყებამდე წარმოადგინოს ქალაქის მერიაში შეთანხმებული პროექტი.

დანართი ნახაზები 3 (სამი) ფურცლად.

ამხანაგობის თავმჯდომარე მადონა მდივნიშვილი

სანოტარო აქტი

ორი ათას თორმეტი წლის ოცდაშვიდ ივლისს მე, **ნოტარიუსს ეკატერინე მარშანიას,** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45-ში მე-3 სართული, მომმართა **მადონა მდივნიშვილმა,** რომელმაც წარმომდგინა **ბ.მ.ა. „თანადგომა"-ს** კრების ოქმი და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **მადონა მდივნიშვილმა** (დაბ. 07.04.1936წ. სამტრედიაში, პ/მ№ ა0087163, პირ. № 01024008406, გაც. 04.09.1995წელს სრს საბურთალოს სამსახურის მიერ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №39, ბინა 17) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი კრების ოქმს.

მე, ნოტარიუსმა, ეკატერინე მარშანიამ ხელმომწერ პირს განვუმარტე, რომ არ ვეცნობი აღნიშნული დოკუმენტის შინაარსს, მასზე ვამოწმებ მხოლოდ მისი ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსზე და სამართლებრის შედეგებზე; გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული №507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 2.00 ლარი + საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად დღგ 0.36 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 4.36 ლარი.

ნოტარიუსი *ეკატერინე მარშანია*

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N120790283
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	27.07.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ეკატერინე მარშანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 45 მე-3 სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	0 (32) 214 00 77 ; 5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	94270611754912

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18